ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 26-82

"1" ნოემბერი 2016 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი საშუალებებისა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს კოლეგიის 1995 წლის 1 აგვისტოს N12-03 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა და „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესი, დანართი 1-ის თანახმად;

ბ) დამტკიცდეს „ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების ღირებულების დადგენის აქტის" ფორმა, დანართი 2-ის თანახმად;

გ) დამტკიცდეს „ძირითადი აქტივის ლიკვიდაციის აქტის" ფორმა, დანართი 3-ის თანახმად;

დ) დამტკიცდეს „მცირეფასიანი გრძელვადიანი აქტივებისა და მატერიალური მარაგების ჩამოწერის აქტის“ ფორმა, დანართი 4-ის თანახმად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 28 იანვრის №1-7 გადაწყვეტილება.

3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

დანართი 1

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის პროცედურებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესის მიზნებისთვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ქონება – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) არაფინანსური აქტივები;

ბ) ჩამოსაწერი ქონება – ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონება;

გ) დაწესებულება – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია;

დ) საინვენტარიზაციო კომისია – ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის მიზნით შესაბამის დაწესებულებაში შექმნილი კომისია.

მუხლი 3. ინვენტარიზაციის ჩატარება

დაწესებულებაში ინვენტარიზაცია ტარდება „ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი საშუალებებისა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს კოლეგიის 1995 წლის 1 აგვისტოს №12-03 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა და „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტიარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების თანახმად.

მუხლი 4. საინვენტარიზაციო კომისია

1. საინვენტარიზაციო კომისია (შემდგომში – კომისია) იქმნება დაწესებულების ხელმძღვანელის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

2. კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს დაწესებულების ხელმძღვანელი.

3. სავალდებულო ინვენტარიზაციის ჩატარების დროს საინვენტარიზაციო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისაგან, მათ შორის, თავმჯდომარისგან.

4. კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას თავმჯდომარის მოადგილე.

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში ქონების ჩამოწერისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას, წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, უზრუნველყოფს დაწესებულების წარმომადგენელი.

6. საჭიროების შემთხვევაში დაწესებულების ხელმძღვანელმა კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოიწვიოს კვალიფიციური სპეციალისტი (სერტიფიცირებული აუდიტორი/ექსპერტი). მოწვეული სპეციალისტები არ იღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

7. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

8. კომისია სწავლობს ჩამოსაწერი ქონების ფაქტობრივ ფიზიკურ მდგომარეობას, სათანადო საფუძვლის არსებობისას ასაბუთებს მისი ბალანსიდან ჩამოწერის აუცილებლობას და ამზადებს ქონების ჩამოწერისათვის საჭირო დოკუმენტაციას.

9. კომისია საკითხს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე, კომისიის სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელშიც აღინიშნება კონკრეტული საკითხის განხილვისას კომისიის წევრების მიერ გამოთქმული განსაკუთრებული მოსაზრებები და მიღებული გადაწყვეტილებები. კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე ყველა წევრი.

მუხლი 5. ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესი

1. კომისია დაწესებულების ხელმძღვანელს წარუდგენს ჩამოსაწერი ქონების ნუსხას, ასევე ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტებისა და საჭიროების შემთხვევაში, ძირითადი აქტივების ლიკვიდაციის აქტის შევსებულ ფორმებს ყველა ძირითად აქტივებზე, მცირე ფასიანი გრძელვადიანი აქტივებისა და მატერიალური მარაგების აქტებს.

2. დაწესებულების ხელმძღვანელი იხილავს ჩამოსაწერი ქონების ნუსხას და კომისიის დასკვნისა და აუდიტორის/ექსპერტის დასკვნის საფუძველზე ადგენს ქონების ჩამოწერის აქტს.

3. ქონების ჩამოწერის აქტს დაწესებულების ხელმძღვანელი დასამტკიცებლად წარუდგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

მუხლი 6. ჩამოწერილი ქონების განადგურება ან/და განკარგვა

1. ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონება, რომლის რაიმე დანიშნულებით გამოყენებაც შეუძლებელია, დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილების საფუძველზე ექვემდებარება განადგურებას.

2. ქონების განადგურების პროცესს ესწრებიან შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ კომისიის შემადგენლობიდან განსაზღვრული პირები.

3. ქონების განადგურებას ტექნიკურად და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს დაწესებულება, რომლის საკუთრებასაც წარმოადგენს გასანადგურებელი ქონება.

4. ქონება უნდა განადგურდეს ამ მიზნისათვის გამოყოფილ ადგილებში, ან ნაგვის დასაწვავ ადგილებში.

5. ქონების განადგურების თაობაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ პირები, რომელნიც ესწრებიან განადგურების პროცესს.

6. ქონების განადგურებისათვის აუცილებელი ხარჯი ფინანსდება შესაბამისი დაწესებულების მიერ.

7. განადგურების მართლზომიერებასა და შედეგებზე პასუხისმგებელია დაწესებულების ხელმძღვანელი.

8. ქონების ჩამოწერის პროცედურის დასრულების შედეგად მიღებული ქონება (ჯართი, სამშენებლო მასალა, ვარგისი ნაწილები და სხვ.) აისახება ბალანსში მარაგების სახით კომისიის მიერ დადგენილი ღირებულების შესაბამისად.

მუხლი 7. ჩამოწერილი ქონების რეალიზაცია

ჩამოწერილი ქონების რეალიზაცია ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

(ორგანიზაციის დასახელება, თარიღი)

ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების ღირებულების დადგენის აქტი

№	ძირითადი აქტივის დასახელება	საინვენტარო ნომერი	შეძენის წელი	საწყის ღირებულება (ლარი)	ღირებულება გადაფასების შემდეგ	ფიზიკური ცვეთა				ნარჩენი საბალანსო ღირებულება ლარებში	შენიშვნა
						ფიზიკური ცვეთის ნორმა		საბოლოო ბუღალტრული მდგომარეობა			
						%	ლარი	%	ლარი		

კომისიის თავმჯდომარე:

_____ (_____)

კომისიის წევრები:

1._____ (_____)

2._____ (_____)

3._____ (_____)

დანართი 3

(ორგანიზაციისდასახელება, თარიღი)

ძირითადი აქტივის ლიკვიდაციის აქტი

№	ძირითადი აქტივის დასახელება	საინვენტარო ნომერი	შეძენის წელი	ნარჩენი საბალანსო ღირებულება	შენიშვნა
1	2	3	4	5	6

კომისიისშემადგენლობა: ----------

შექმნილი 20 წელი ---------- №----------ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებლივი აქტის------ საფუძველზე, რომელმაც დაათვალიერა----------

---

----------და აღმოჩნდა, რომ ძირითადი საშუალება ლიკვიდირებულ უნდა იქნეს შემდეგის საფუძველზე:

1.შეძენის წელი:----------

2. საწყისი საბალანსო ღირებულება:----------

3. ძირითადი აქტივის ტექნიკრი მდგომარეობა და ლიკვიდაციის მიზეზი:

ა)----------; ბ)----------; გ)----------;

კომისიის დასკვნა:: ----------კომისიის თავმჯდომარე: ---------- (----------)

კომისიის წევრები 1. ---------- (----------)

2. ----------(----------)

3.----------(----------)

ძირითადი აქტივის ლიკვიდაციის შედეგის გამოთვლა

დანახარჯების ლიკვიდაცია			ლიკვიდაციის შედეგად მიღებული			
დოკუმენტაციის დასახელება	დანახარჯების ჩამონათვალი	თანხა (ლარი)	დოკუ-მენტაციის დასახელება	ფასეულობა-თა სახეები	რაოდენობა	თანხა (ლარი)
1	2	3	4	5	6	7

ლიკვიდაციის შედეგის საერთოთანხა:---------- (----------) ლარი

ლიკვიდაციის შედეგი: ----------

კომისიის თავმჯდომარე: ----------(----------)

კომისიის წევრები:

1. ---------- (----------)

2. ---------- (----------)

3 ---------- (----------)

ბ.ა.

დანართი 4

(ორგანიზაციის დასახელება, თარიღი)

მცირეფასიანი გრძელვადიანი აქტივებისა და მატერიალური მარაგების ჩამოწერის აქტი

№	დასახელება	საინვენტარო ნომერი	შეძენის წელი	ერთეულის ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება	ჩამოწერის მიზეზი	ლიკვიდაციის შედეგად მიღებული აქტივები			შენიშვნა
								დასახელება	რაოდენობა	ღირებულება	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
								ჯამი			

კომისიის თავმჯდომარე:

_____ (_____)

კომისიის წევრები:

1._____ (_____)

2._____ (_____)

3._____ (_____)

ბ.ა.

განმარტებითი ბარათი

„ქალაქთბილისისმუნიციპალიტეტისსაკუთრებაშიარსებული (ბალანსზერიცხული) ქონებისინვენტარიზაციისდაამორტიზებულიანგამოუყენებელიქონებისჩამოწერისწესისდამტკიცებისშესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 28 იანვრის №1-7 გადაწყვეტილებით დამტკიცებული იქნა„ქ. თბილისისთვითმმართველიერთეულისსაკუთრებაშიარსებული (ბალანსზერიცხული) ქონებისინვენტარიზაციისდაამორტიზებულიანგამოუყენებელიქონებისჩამოწერისწესი“, რომელიც სხვა ნორმატიულ აქტებთან ერთად ადგენდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის პროცედურებს.

პროექტის მიღების მიზეზია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის პროცედურების საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. ასევე, ხდება სამუშაო პროცესის დროს, წესში გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება.

ამასთან, .ძალადაკარგულად ცხადდება „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული (ბალანს ზერიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 28 იანვრის №1-7 გადაწყვეტილება.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი (დამატებითი) ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.